



**შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის  
ბიზნესის კვლევების სამეცნიერო ცენტრის (ინსტიტუტის)  
დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

- 1.1. ბიზნეს კვლევების სამეცნიერო ცენტრი (ინსტიტუტი) არის შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სტრუქტურაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული.
- 1.2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ბიზნესის კვლევების სამეცნიერო ცენტრი (ინსტიტუტი) (შემდგომში ცენტრი) თავის საქმიანობას წარმართავს ამ დებულების შესაბამისად.
- 1.3. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება ბიზნესის სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.

**მუხლი 2. ცენტრის მიზანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები**

- 2.1. ცენტრის მიზანია:
  - 2.1.1. აწარმოოს სამეცნიერო კვლევები ბიზნესის ადმინისტრირების ყველა მიმართულებით. სახელდობრ: რაოდენობრივი და საერთაშორისო ფინანსების დარგში, პორტფელური და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განხრით, აგრეთვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროებში.
  - 2.1.2. ბიზნეს პროცესების პროგნოზების მოდელირება და სხვადასხვა პრობლემების ეფექტური გადაწყვეტა/გადაჭრა სანდო პროგნოზების საფუძველზე.
- 2.2. ცენტრის ბაზაზე, ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელთა ხელმძღვანელობით, პრაქტიკას გადიან სკოლის სტუდენტები.
- 2.3. ცენტრი პერიოდულად ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს.

**მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა**

- 3.1. ცენტრი შედგება ცენტრის ხელმძღვანელის (დირექტორი) და წევრების - სამეცნიერო პერსონალისგან.
- 3.2. საჭიროების შემთხვევაში ცენტრის ფარგლებში, ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით, სტრუქტურული ერთეულის სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს ახალი სამეცნიერო-კვლევითი სექტორ(ებ)ი (შემდგომში სექტორი) ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროექტ(ებ)ი, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი.

3.3. სექტორის (პროექტის) მიზანია კონკრეტული მიმართულებით პრობლემატური საკითხის კვლევა.

#### **მუხლი 4. ცენტრის სამეცნიერო პერსონალი**

4.1. ცენტრის სამეცნიერო პერსონალი იქმნება სკოლის აკადემიური პერსონალისა და სხვა მეცნიერ-თანამშრომლებისგან. ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლად შესაძლებელია მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის მეცნიერი, რომელსაც უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური თანამდებობა.

#### **მუხლი 5. ცენტრის გადაწყვეტილება**

5.1. ცენტრის გადაწყვეტილება მიიღება ცენტრის წევრთა ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი.

5.2. ცენტრის წევრთა სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით ან/და წევრთა 2/3-ის მოთხოვნით. სხდომაზე განიხილება:

5.2.1. ცენტრის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;

5.2.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გეგმები და პროექტები;

5.2.3. სექტორის (პროექტის) სამუშაო გეგმა;

5.2.4. ცენტრის სტრუქტურის შეცვლის, აგრეთვე კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად განსაზღვრული სახსრების გამოყენების საკითხები;

5.2.5. სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხები;

5.2.6. სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელის, ცალკეულ მეცნიერთა საქმიანობის ანგარიშები;

5.2.7. უცხო ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებთან და უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევების შესრულების მიმდინარეობა; ცენტრის თანამშრომელთა ანგარიშები უცხოეთში სამეცნიერო მივლინებების შესახებ.

5.3. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით ღია კენჭისყრით.

5.4. სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ცენტრის დირექტორი და სხდომის მდივანი.

#### **მუხლი 6. ცენტრის დირექტორი**

6.1. ბიზნესის კვლევების სამეცნიერო ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი სკოლის დეკანის წარდგინებით. ცენტრის დირექტორად შეიძლება დანიშნული იქნეს სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელიც არის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წევრი.

6.2. ცენტრის დირექტორი:

6.2.1. ხელმძღვანელობას უწევს ცენტრის საორგანიზაციო საქმიანობას;

6.2.2. ცენტრის სამეცნიერო მიმართულებებს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის საბჭოს;

- 6.2.3. ორგანიზებას უწევს სამეცნიერო პროექტების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, სამეცნიერო ფორუმების გამართვის გეგმების შედგენას;
  - 6.2.4. ხელს უწყობს ცენტრის სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-სასწავლო და სხვა ხასიათის დაწესებულებებთან;
  - 6.2.5. ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნებას;
  - 6.2.6. სკოლის დეკანს განსახილველად წარუდგენს სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელის კანდიდატურას.
- 6.3. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია სკოლის დეკანის წინაშე.

### **მუხლი 7. სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელი**

- 7.1. სექტორის (პროექტის) ხელმძღვანელი:
  - 7.1.1. ხელმძღვანელობს ცენტრის თემატური გეგმით გათვალისწინებულ პროექტს (პროექტებს);
  - 7.1.2. ყოველი წლის ბოლოს ცენტრის წევრთა ერთობლივ სხდომაზე წარადგენს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგებს.

### **მუხლი 8. მეცნიერ-თანამშრომელი**

- 8.1. მეცნიერ-თანამშრომელი მონაწილეობს ცენტრის საქმიანობაში.
- 8.2. მეცნიერ-თანამშრომელს უფლება აქვს:
  - 8.2.1. დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, მეთოდები და საშუალებები;
  - 8.2.2. მონაწილეობა მიიღოს დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურსსა და სხვა ღონისძიებებში;
  - 8.2.3. წარმართოს ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ცენტრის მიერ დასახული ამოცანების შესრულებასთან.

### **მუხლი 9. ცენტრის ფინანსები**

- 9.1. ცენტრის დაფინანსების წყაროა შიდა საუნივერსიტეტო და გარედან მოზიდული თანხები.
- 9.2. ცენტრს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ანგარიში/ქვეანგარიში.

### **მუხლი 10. გარდამავალი დებულებები**

- 10.1 ცენტრის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.
- 10.2. ცენტრის ლიკვიდაციის (საქმიანობის შეწყვეტის) შემდეგ მისი ქონება რჩება უნივერსიტეტს.

### **მუხლი 11. ცენტრის რეკვიზიტები**

საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მერაბ ალექსიძის 10, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი.